კვირა, 12 ნოემბერი, 1917 წ.
კანტორა „განათლების“ ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.
ფასი 50 კაპ.
რედაქციის ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 13?. ტელეფონი 18–17.

ეშმაკის მათრახი

№ 46
1917

კრიზისი

საარჩევნო ციებ-ცხელება კრიზისის ხანაში ჩადგა.

ვინ იცის ვინ გადაიტანს, ვინ გამოვა გამარჯვებული და ვინ შავი კენჭებით ჩაქოლილი ბრძოლის ველზე დაეცემა. ესეც მალე გამოირკვევა.

იშვიათი არჩევნებია: დამფუძნებელი კრების არჩევნები!

განა შორს გაგვცილდა ის დრო, როცა მრავალი ჩვენგანი მხოლოდ ოცნების შორეულ კუნჭულში ატარებდა დამფუძნებელი კრების მოსწრების ნატვრას *)?

სოციალისტ-ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები, რადიკალ-დემოკრატები **), ერთობ უნუგეშო მდგომარეობაში არიან. მართალია ცხადსა, თუ სიზმარში მათ ქართველი ხალხი აბოდებს, მაგრამ ქართველ ხალხს ისინი მაინცა და მაინცა არაფრად ეპიტნავება.

დღეს კიდევ ერთი უდიდესი ეკზამენი ეწყება, როგორც ჩვენებურ პარტიებს, აგრეთვე ქართველ ხალხს. დღევანდელი არჩევანი ეს იშვიათი, ფრიად პასუხსაგები და საბედისწერო არჩევანია.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართველი ხალხი დღესაც ფხიზლათ შეხვდება საქმეს და გაასკეცებული ენერგიით დაუჭერს მხარს ჭირსა და ლხინში მასთან მყოფ:

სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და ხმას მისცემს მათ საარჩევნო სიას № 1.

იქნებ თქვენ არ იცნობთ მათ კანდიდატებს? აი ისინი:



ნოე ჟორდანია (გადაღებულია ჟანდარმებისაგან)



კანდიტატი პირველი: ნოე ჟორდანია.

განა შეიძლება იყოს საქართველოში ვინმე ისეთი წყალწაღებული, რომელმაც არ იცოდეს, თუ ვინ არის ნოე ჟორდანია? არა მგონია! ეს არც უნდა გაგვიკვირდეს.

ნოე ჟორდანია უნიჭიერესი პუბლიცისტია ქართველთა შორის.

ნოე ჟორდანია ტვინია თანამედროვე განმანთავისუფლებელი მოძრაობისა ჩვენში. ტვინი ძლიერი, ნათელი და გარკვეული. მისი უძლიერესი იარაღი ბასრი და მოხდენილი კალამია. ვაი მას, ვისაც ის კალამი სამტროდ მიადგება!

ნოე ჟორდანია არა ჰგავს ჩვენს მცონარე ნაციონალისტურ ინტელიგენტებს, რომელნიც სხედან და გულხელ-დაკრეფილი დასტირიან საქართველოს წარსულს. ის მებრძოლი მწერალია, მებრძოლი დაუღალავი და შეუდრეკელი.

ნოე ჟორდანია ის ღონიერი ხელია, რომელმაც მძლავრათ შეანძრია საუკუნოებით მიძინებული

---

*) მართალია, არიან ისეთებიც, რომელნიც დღეს ამბობენ:-ნეტავ არ მოგსწრებოდითო!

**) ეს ჰატიოსანი ჰარტია ამ მოკლე ხანში დაიბა- და ნატიონალ-დემოკრატებისაგან.

ქართველი ხალხი; შეანძრია და გააღვიძა; გააღვიძა და ფეხზე დააყენა; ფეხზე დაყენა და ერთ უძლეველ ლაშქრად დარაზმა. თუ ჩვენი დემოკრატია მიწინავე რაზმია განმანთავისუფლებელი მოძრაობისა, ეს რა თქმა უნდა ნიჭიერ ხელმძღვანელთა მეოხებითაც და ნოე ჟორდანია მისი უდიდესი მასწავლებელია.

აი ამისთვის უყვარს ქართველ ხალხს თავისი ძვირფასი მასწავლებელი.

მაგრამ განა მარტო ქართველ დემოკრატიას უყვარს ნოე ჟორდანია? არა. ის ჩვენსავით უყვართ მუსულმან გლეხკაცობასაც და სომხის მუშათა შეგნებულ ნაწილს. ვის არ ახსოვს ამიერ კავკასიის გლეხთა კრება. დამსწრეთა დიდმა უმრავლესობამ მხოლოდ ნოე ჟორდანია სცნო თავის ხელმძღვანელათ.

აი ასეთია პირველი კანდიდატი სოციალდემოკრატთა სიის № 1.

კანდიდატი მეორე ირაკლი წერეთელი.

ირაკლი წერეთელი, ის არ არის რაიც აქ თქვენს წინაშე სურათზე მოსჩანს: ის "გაცილებით უფრო დიდი კაცია.

მას კავკასიის არწივს ეძახიან. შეიძლება ეს მართლაც ეგრე იყოს, თუ არწივის კლანჭებათ მის მკვეთრ სიტყვებს და ძლიერ ლოგიკას ჩავთვლით. ის არწივსავით მაღლაც დაჰფრენს და მის არწივისებურ შორს-მჭვრეტელ თვალთა წინაშე ვრცელი პოლიტიკური სივრცეა გადაჭიმული.

ირაკლი წერეთელი ეს მძლავარი ჩაქუჩია, რომელიც მედგრათ სჭედს ჩაგრულთა კეთილდღეობის საძირკველს.

დღევანდელ რუსეთის რევოლიუციას არა ჰყავს მეორე ირაკლი წერეთელი.—ის ერთად-ერთია, კელტოთ სდგას მიუვალ ბროლის კლდესავით მტკიცე და სპეტაკი.

მზე რა არის, დიდებული, სხივოსანი მნათობი მსოფლიოისა და მის სპეტაკ გულზედაც მოსჩანს შავი ხალები, მაგრამ მწარე ტანჯვით აღსავსე წარსული და შფოთიანი თანამედროვე ცხოვრება ირაკლი წერეთლისა სპეტაკია ვით პირველი თოვლი იალბუზის მწვერვალისა.

სიას, რომელსაც ირაკლი წერეთელი ამშვენებს განა შეიძლება ხმა არ მისცეს მან, ვისაც ყველა დაჩაგრულთა და ტვირთ-მძიმეთა კეთილდღეობის მოპოება სურს?

განა მოიპოება მეორე მასზე უფრო მედგარი დამცველი ჩაგრულთა ინტერესებისა? არა, არა და არა!

მაშ მიეცით ხმა საარჩევნო სიას № 1.

ირაკლი წერეთელი

კანდიდატი მესამე ნიკოლოზ ჩხეიძე.

ნიკოლოზ ჩხეიძე, ეს რუსული სახელწოდებაა იმ საყვარელი მებრძოლისა, რომელსაც ჩვენ კარლო ჩხეიძეს ვეძახით.

კარლო ჩხეიძე, ეგ ის ბურჯია, კავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელით პეტროგრადში აღმართული, რომელსაც განსაცვიფრებელის სიმკაცრითა და დაუნდობლობით ურტყამდა გასული წლების რეაქცია.

კარლო კი იდგა, იდგა როგორც შეჰფერის ხალხისათვის მებრძოლს.

მან გადაიტანა სტოლიპინის მძლავრი იერიშები.

კარლო ჩხეიძემ უკუაქცია მესამე და მეოთხე დუმის რეაქციონერთა თავდასხმა.

კარლო ჩხეიძე, ეს ცენტრია, სადაც თავი მოუყრია ქართველი ხალხის გონება-მახვილობას. მისი სიტყვები სწორეთ „თაფლში ნალესი ნაღველია“.



რვა წლის განმავლობაში სდარაჯობდა ის ხალხის ინტერესებს იქ, სადაც ყოველი მხრიდან ესხმოდენ და გლეჯდენ ამ ინტერესებს.

თითოული გამოსვლა კარლო ჩხეიძისა სახელმწიფო დუმის ტრიბუნას აცოცხლებდა. თითოეული მისი სიტყვა მტერს ლახვრად ხვდებოდა, მ.ყვარეს კი უკვდავების მალამოთ.

დაემხო თვითმპყრობელობა და კარლო ჩხეიძეც სათავეში ჩაუდგა განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ის დღესაც სათავეშია.

გაუმარჯოს კარლო ჩხეიძეს, გაუმარჯოს საარჩევნო სიას № 1, რომლის მესამე ბურჯათაც ის არის გამოცხადებული.

კანდიდატი მეოთხე ევგენი გეგეჭკორი.

— თქვენ ალბათ გინახავთ შიშველი ხმალი, რომელიც მზის სხივებზე ჰკრთის და ელვარებს!

აი ასეთი ხმალია ევგენი გეგეჭკორი ტრიბუნაზე გამოსული. ის ელავს, ჰკრთის, ნაპერწკლებს აფრქვევს და საპიროების დროს მძვინვარებს, მუსრავს.

ვის არ ახსოვს მესამე დუმაში მისი ბასრი სიტყვები. მისი მრისხანე შეტევა, მისი რაინდული იერიშები!

სოციალ დემოკრატიამ თითქმის უცნობი, ნორჩი ახალგაზრდა გაჰგზავნა სახელმწიფო სათათბიროში, მაგრამ ევგენი გეგეჭკორმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა.

ხუთი წლის უთანასწორო ბრძოლაში გამოწრთობილი ევგენი გეგეჭკორი უკვე საერთო სიყვარულითა და პატივისცემით შემოსა მადლიერმა ქართველმა ხალხმა.

ჩვენი ნაციონალისტების ყალთაბანდობით მეოთხე დუმაში არჩეული ევგენი გეგეჭკორის სა-

არჩევნო ცენზი გააბათილეს. ნაციონალისტებმა შური იძიეს ქართველ ხალხზე და სახელოვანი მებრძოლის, ევგენი გეგეჭკორის, ნაცვლათ დუმაში წაგზავნეს უმოქმედო, უენერგიო და საეკვო ყოფაქცევის თავადი ვ. გელოვანი.

მაგრამ ხალხი იშვითად ივიწყებს თავის საყვარელ პირებს.

ევგენი გეგეჭკორი კავკასიის სარევოლიუციო ორგანიზაციათა ცენტრის თავმჯდომარეა! ხალხმა კვლავ მუუწოდა საყვარელ მოღვაწეს და შესაფერი ალაგი მოუნახა, რასაკვირველია მძიმე და პასუხსაგები.

ევგენი გეგეჭკორი ერთი საიმედო, მტკიცე, ბურჯთაგანია ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელსაც შეგიძლია გულდამშვიდებით დაეყრდნო: ის შეიძლება დაღუპოს, მაგრამ არასოდეს არ გიღალატებს.

ამხანაგებო! ხმა მიეცით იმ სიას, რომელსაც ოთხი ასეთი სახელი ამშვენებს: ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი. ეს სიაა № 1.

კანდიდატი მეხუთე არშაკ ზურაბოვი.

ამხ. არშაკ ზურაბოვს ერთი პირველი ადგილთაგანი უკავია იმ ს. დ. დეპუტატთა შორის, რომელთა თავგანწირულმა იერიშებმა ძველი წესწყობილების სიმაგრეები მიწასთან გაასწორეს. ამხ. არშაკი უებარი მიზანში ამომღებია. კაკალ გულში იცის მოხვედრა. ყველას ახსოვს ამხ. არშაკ ზურაბოვის სიტყვა რუსეთის მილიტარიზმის დასახასიათებლათ წარმოთქმული მეორე სახ. დუმაში. მან ჯერ კიდევ ძველი წესწყობილების ბატონობის დროს მაგარი მახვილი ჩასცა რუსეთის მილიტარიზმს. სამაგიეროთ ამხ. არშაკი მიზანში ამოიღო თითქმის მთელმა რუსეთის მაშინდელმა რეაქციონურმა აფიცრობამ. ყველას უნდოდა თითო ტყვია მოეხვედრებია მისთვის და ამით დამტკიცებიათ, რომ ამხ. ზურაბოვის მტკიცების წინააღმდეგ რუსეთის იმ დროის აფიცრობა თავის სიმაღლეზე იდგა. მაგრამ მათ ეს არ დასცალდათ, ცნობილმა ჯალათმა სტოლიპინმა მთელი მეორე სახ. დუმის ს. დ. ფრაქცია პასუხის გებაში მისცა და კატორღაში გაგზავნა. რა გადახდა ამხ. ზურაბოვს ამ ხნის განმავლობაში — ამას თვითონ მოგიყვებათ, თუ ამისთვის თავისუდალი დრო დაურჩა. ახლა კი მას ს. დ. პარტია დამფუძნებელ კრებაზე აგზავნის, რომ ძველის ნანგრევებზე ახალი, დემოკრატიისათვის სასურველი მართვა გამგეობის წესების შემუშავებაში დაეხმაროს მასთან ერთად ჰირში და ლხინში მყოფ მებრძოლ ამხანაგებს.

კანდიდატი მეექვსე ნოე რამიშვილი.

საზოგადოთ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ისე, როგორც „არჩილი“ ფედერალისტურ სახელათ, „ნოე“ც წმინდა სოციალ დემოკრატიულ სახელათ შეიძლება ჩაითვალოს.

ნოე რამიშვილი, მეორე ნოეა ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობისა. თუ პირველი ნოე, ჟორდანია, განვლილ რეაქციის ქარიშხალში ოსტატურათ მართავდა პარტიულ გემს, ნოე რამიშვილი მთელი თავისი ძალღონით, დღიან ღამიან ცეცხლს უკეთებდა რომ კერა არ გაცივებულიყო.

ვინც იცნობს ნოე რამიშვილის ზეკაცურ შრომის უნარს, ვისაც უნახავს მისი თავგანწირული მუშაობა, მხოლოდ იმას შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რა უზომო ენერგია და საქმის სიყვარულია დამარხული ამ ხმელსა და სათუთ ორგანიზმში.

ვინც ახლოს არ იცნობს ნოე რამიშვილს მას იგი სასტიკი, მედიდური და მიუკარებელი ჰგონია ოჰ რა შორს არის ეს გარეგნული, შთაბეჭდილება სინამდვილისგან! უკანასკნელმა ს. დ. საოლქო ყრილობამ სამართლიანათ დააფასა ნოე რამიშვილის ღვაწლი და მისი სახით ჰგზავნის დამფუძნებელ კრებაში ერთ დაუღალავსა და ხალხისათვის თავდადებულ მუშაკს.

კანდიდატი მეშვიდე ისიდორე რამიშვილი.

არა მგონია ჩვენს მკითხველთა შორის მოიპოვებოდეს ვინმე, ვისაც ისიდორე რამიშვილის ჩემგან გაცნობა ესაჭიროებოდეს. მას იცნობს ყველა: იცნობს იმერეთი, იცნობს ქართლ კახეთი; იცნობს აჭარა ქობულეთი, იცნობს ბაკო, იცნობს მთელი რუსეთი. მას იცნობენ, როგორც ერთ დაუღალავ, შეუდრეკელ მებრძოლს თავისუფლებისათვის.

ისიდორე რამიშვილი სცოცხლობს ამ ბრძოლით; მისთვის არ არსებობს გასაჭირი და პირადი ტანჯვა, როცა საქმე თავისუფლებისათვის ბრძოლას ეხება. თმა შეევრცხლილ მოხუცი ჯერი კიდევ ჭაბუკურის გატაცებით ეწაფება საყვარელ საქმეს და სადაც ფეხს შეადგამს საერთო სიყვარულის ტახტს იდგამს.

ქართველმა დემოკრატიამ ის პირველი დუმის დეპუტატათ გაგზავნა და ისიდორე რამიშვილმაც სავსებით გაამართლა ამრჩეველთა მოლოდინი.

ქართველი ხალხი დღეს კვლავ აყენებს მის კანდიდატურას დამფუძნებელ კრებისათვის. ყველა ამრჩეველს გულ დამშვიდებით შეუძლია დაეყრდნოს მის სიმტკიცესა და გაბედულებას. ისიდორე რამიშვილი ჭირსა და ლხინში ჩაგრულთა რაზმში სდგას სიცოცხლეში ის მას არასოდეს არ დასტოვებს.

„ძვირფასო“ მკითხველნო, განა შეიძლება ამათზე უკეთეს ხელს მივანდოთ ჩვენი კეთილდღეობისათვის ბრძოლა? არა, ჩვენ ამათ ვიცნობთ ბძოლასა და გაჭირვების ცეცხლში გამოწრთობილებს. ჩვენი სია, ის ძმობა-ერთობის სიაა. ჩვენ ხმა უნდა მივცეთ სიას № 1.



(გადაღებულია ყანდარმებისაგან)

„კანდიდატი მერვე აკაკი ჩხენკელი.

დარბაისელი და დინჯი მოღვაწეა აკაკი ჩხენკელი.

ჩაუბი რა საქმესაც გინდა, გასწევს. მან არ იცის რა არის დაღლა, მისგან არ შეიძლება საქმის უგულოთ ასრულება.

კარლო ჩხეიძესა და სკობელევთან ერთად მან თავის ბეჭებზე გადაიტანა მძიმე მუშაობა მეოთხე დუმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა.

აკაკი ჩხენკელი ადვილად არა სთმობს თავის

პოზიციას. განა ვის არ ახსოვს, რომ დუმის სხდომიდან მის გასაყვანათ მეფის მთავრობას შეიარაღებული ძალის მიმართვა დასჭირდა.

სამშობლოდან გაძევებული აკაკი ჩხენკელი თავის წარმომადგენლათ ამოირჩია ბათუმის, ყარსის და სოხუმის ოლქებმა. ხალხის ნდობა აკაკი ჩხენკელმა პირნათლად გაამართლა.

მრავალ-ტანჯული აჭარელი ქართველი მაჰმადიანობა განსაკუთრებულის სიყვარულით იხსენიებს აკაკი ჩხენკელის სახელს. თვითმპყრობელ ჯალათთა მიერ უდანაშაულოთ აკლებულ მხარეს აკაკი ჩხენკელმა ბევრი სიყვარული და ამაგი დასდო.



აკაკი ჩხენკელი (ლაპარაკობს). ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი

დღესაც, რევოლიუციონურ მთავრობის მიერ განსაკუთრებული უფლებით აღჭურვილი აკაკი ჩხენკელი, როგორც წევრი ამიერ კავკასიის საგანგებო კომისიისა, ჩვეულებრივის ენერგიით, სიფრთხილითა და ტაქტით ასრულებს ნაკისრ მძიმე მოვალეობას.

მაშ გაუმარჯოს აკაკი ჩხენკელს, გაუმარჯოს საარჩევნო სიას № 1.

კანდიდატი მეცხრე მათე სკობელევი.

ამიერ კავკასიის ერებში ერთობ ნასიამოვნები დარჩენ, როცა მესამე დუმის ცნობილი ტიმოშკინის ნაცვლად სოციალ-დემოკრატი მათე სკობელევი იქმნა არჩეული ადგილობრივ რუსთა წარმომადგენელათ.

ეს ამბავი ჩვენებურ ფედერალისტებსაც კი ესიამოვნათ. (მათ ქართველების სოციალ-დემოკრატობა ვერ მოუნელებიათ, თორემ სხვა ხალხში სოციალ-დემოკრატებს შესტრფიან).

მათე სკობელევი ერთი თვალსაჩინო მებრძოლი გამოდგა ხალხის თავისუფლებისათვის. ის კარლო ჩხეიძესა და აკაკი ჩხენკელთან ერთად ეწეოდა მძიმე უღელს ფრაქციის ბრძოლისას.

დროებით მთავრობაში ის არჩეულ იქმნა შრომის მინისტრათ, ხოლო რესპუბლიკის საბჭომ აირჩია დემოკრატიის წარმომადგენლათ მოკავშირეთა პარიზის კონფერენციაზე.

ჟანდარმებისაგან გადაღებული

კანდიდატი მეათე ლადო ჯიბლაძე.

ქართველ დემოკრატიას ჰყავს ერთი ტიპი ძველი პარტიული მუშაკებისა. ისინი ყოველთვის შეადგენდენ მოძრაობის საფუძველს. მათ სიმტკიცეს და შეურყევლობაზეა დამყარებული მთელი პარტია. რევოლიუციის დროს მ. ს ეწევება დროებით შემო-

ხიზნულთა რაზმები, ხოლო რეაქციის დროს მარტოთ დარჩენილი ამ თავდადებულ მუშაკთა მტკიცე რაზმი იგერიებს შავ ძალთა იერიშებს.

ერთი ამ მუშაკთაგანია ლადო ჯიბლაძე.

მათ ისე შეგიძლია დაენდო და დაემყარო, როგორც კლდეს და აი სწორეთ ამიტომ არის, რომ ყოველგვარი პრაქტიკულ პასუხსაგები საქმე მათზეა ხოლმე დაკისრებული.

ლადო ჯიბლაძე, ერთი საპატიო წევრი ამ მოწინავე ჯგუფისა, გონიერი და თავდადებული მებრძოლია თავისუფლებისათვის. ამიტომაც არავისთვის საკვირველი არ უნდა იყოს, თუ რისთვის უყვარს ქართველ მებრძოლ დემოკრატიას ლადო ჯიბლაძე და რატომ აღჭურვა ის ასეთი ნდობით.



კანდიდატი მეთერთმეტე გრიგოლ გიორგაძე.

სახის მოხაზულობა კანდიდატისა სრულებით არ მოწმობს მის გუბერნიის კომისრობას. ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო და ქუთათურებსაც გუბერნიის კომისარი წარმოდგენილი ქონდათ: ულვაშებ აგრეხილი, გაბეჟუებული წითელი სახით, ბრიალა თვალებით და საშინელი მრისხანე გამოთქმით.

ამხ. გრიგოლმა რევოლიუცია მოახდინა ქუთათურთა წარმოდგენაში. მას სახე აქვს მშვიდი, ხასიათი წყნარი, თვალები ჭკვიანათ გამომეტყველნი და ულვაშებიც თავისუფლათ გაშვებული, როგორც დროს შეეფერება.

„ჩვენი გრიგოლი“ -- ამბობენ ქუთათურები გუბერნიის კომისარის დანახვაზე და სიამის ღიმილით ესალმებიან მას. კომისარი მძიმე ნაბიჯით და კიდევ უფრო მძიმე პორთფელით დინჯათ მიაბიჯებს ქუთაისის ქუჩებზე. ერთი შეხედვა საკმარისია, რომ დაასკვნა: ეს კაცი საქმის კაცია. მას ისე შეგიძლია დაენდო, როგორც სალ კლდეს, თუ სიტყვა მოგცა, სიკვდილის წინაც უკან არ დაიხევს, მიუცილებლათ აასრულებს.

ამიტომაც ამხ. გრიგოლი ქართველმა დემოკრატიამ ნდობით აღჭურვა და მთელი გუბერნიის მცხოვრებთა ბედი მას ჩააბარა.

ძალიან მძიმე ტვირთია გუბერნიის კომისრობა, მაგრამ გრიგოლი რისი გრიგოლია, თუ მას სათანადო ვაჟკაცური გამბედობით და რევოლიუციონური მხნეობით არ იკისრებდა საზიდავათ?

ახლა კიდევ უფრო მძიმე უღელში გაბმას უპირებს ამხ. გრიგოლს ს. დ. პარტია. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ დანარჩენ 36 სადეპუტატო კანდიდატებთან ერთად ამხ. გრ. გიორგაძეც პირნათლათ შეასრულებს თვის მოვალეობას ამრჩეველთა წინაშე და გაბედულათ დაიცავს რევოლიუციონური დემოკრატიის ინტერესებს მომავალ დამფუძნებელ კრებაზე.

კანდიდატი მეთორმეტე მიხეილ სმირნოვი.

საარჩევნო სიაში ასე სწერია: „სმირნოვი მიხეილ ნიკოლოზის-ძე, კავკასიის ჯარის საბჭოს თავმჯდომარის და ქალაქის თავის ამხანაგი“.

თუ საქმე „ამხანაგობაზე“ მიდგება, მიხეილ ნიკოლოზის-ძე ჩემიც დიდი ამხანაგია, როგორც „ეშმაკის მათრახის“ რედაქტორისა.

ჩვენი მკითხველები მიხეილ სმირნოვს ვერ იცნობენ, რასაკვირველია სამწუხაროთ მათდა.

მიხეილ სმირნოვი ეგრეთ წოდებული „მძიმე არტილერიაა“.

მიაყუდებთ საითაც გინდათ და გაიტანს.

თითონაც შენიშნა და მეც მსურს განგიმარტოთ, რომ ფოტოგრაფიულ სურათზე ამხ. სმირნოვი ერთობ მრისხანე გამოსჩანს. ასეთივე ელფერი დაჰკრავს მას ჩემ მიერ ნახატ შარჟზედაც.*) მაგრამ ამას მეცნიერებაში „მხედველობის ცდომას“ (обманъ зрѣнія) ეძახიან. ეს ასე მხოლოდ გვეჩვენება.

არსებითად მიხეილ სმირნოვი ერთობ დინჯი, დარბაისელი და უკიდურესობამდე გულწრფელი საზოგადო მოღვაწეა. დედა-მიწაც რომ შეადგა მხრებზე გაუძლებს მისი ბუმბერაზული ახოვანება და ახოვანების შესაფერი ენერგია.

კანდიდატი მეცამეტე იოსებ ბეკზადიანი.

რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველთა და აღმრჩეველთა წინაშე, რომ აღნიშნული კანდიდატის სურათი ვერ მოათავსა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უკეთუ საშუალება გვქონოდა და ამხ. იოსებ ბეკზადიანის სურათი მიგვეთავსებია მკითხველი მისი ხილვით მადლიერი დარჩებოდა.

სამწუხარო რიცხვი სიისა შეხვდა იოსებ ბეკზადიანს, მაგრამ იმედია ამ უკუღმართ რიცხვიდანაც გამარჯვებული ამოვა.

კანდიდატი მეთოთხმეტე ალექსანდრე ლომთათიძე.

ახალგაზრდა, გულწრფელი და ენერგიული დამცველი ხალხის ინტერესებისა ალექსანდრე ლომთათიძე ერთი სასურველ კანდიდატთაგანია დამფუძნებელ კრებისათვის.

(ალექსანდრე ლომთათიძე)

მკვეთრი სიტყვა და უტყუარი ორატორული ნიჭი სრული თავდებია მისი, რომ ალექსანდრე ლომთათიძე თვალსაჩინო სამსახურს გაუწევს მის ამრჩეველთ.

---

*) სამწუხაროთ შარჟი ვერ იბეჭდება.

კანდიდატი მეხუთმეტე ბაზარ ტერ-ბაზარიანი.

სამწუხაროთ, გარდა ჩვეულებრივი ცნობებისა, ჩვენ ვერაფერი ცნობები ვერ გავიგეთ გაზარ ტერ-გაზარიანის შესახებ. ჩვენს მწუხარებას აორკეცებს ის გარემოება, რომ ვერ ვიშოვეთ ვერც მისი სურათი.



(გადაღებულია ჟანდარმებისაგან)

კანდიდატი მეთექვსმეტე გერასიმე მახარაძე.

ჭეშმარიტათ საერთო სიყვარულისა და სიმპატიის ღირსია ის მორჩილი ტანის, შავგვრემანი ახალგაზრდა, რომელსაც გერასიმე მახარაძეს ეძახიან.

შვიდი წლის კატორღამ მას ერთი ბეწვიც ვერ გაუთეთრა. ჩვენს წინაშე სდგას, ისევ ის გერასიმე, რომელიც 1907 წელს მეორე დუმის დეპუტატათ აირჩია ქართველმა დემოკრატიამ.

მისი დამახასიათებელი თვისება თავდავიწყებული შრომაა. ის მუშაობს, მუშაობს. სახელი სხვისთვის დაულოცნია.

გერასიმე მახარაძე არც ლაპარაკის კაცი უნდა იყოს. ვინაიდან საქმე ლაპარაკსაც ურჩევნია.

კანდიდატი მეჩვიდმეტე რაჟდენ არსენიძე.

ცხოვრება ბრძოლაა—ამბობს ბრძნული დაკვირვება ხალხისა. ამხანაგი მეჩვიდმეტე კანდიდატიც მუდმივი ბრძოლა, ბრუნვა, ტრიალის სრული გამოხატულებაა—ვამბობთ ჩვენ.

(გადაღებულია ჟანდარმებისაგან

ამხ. რაჟდენ არსენიძე, ამხ. არსენ რაჟდენიძე, ამხ. მიშა არსენიძე—ატრიალებენ და აბრუნებენ წალმა-უკუღმა ჩვენს ძვირფას ამხანაგს რაჟდენს მეტ-ყველი ადამიანები.

უნივერსიტეტიდან ციხეში, ციხიდან რედაქციაში, რედაქციიდან ისევ ციხეში, ციხიდან ისევ უნივერსიტეტში, უნივერსიტეტიდან ციმბირში, ციმბირიდან ისევ რედაქციაში—და ასე დაუსრულებლათ ატრიალებს-აბრუნებს ამ მოჯადოებულ წრეში ამხ. არსენიძეს ჩვენი ცხოვრების ჩარხი.

როგორც რაჟდენი, მიშა, არსენიძე და რაჟდენიძე ერთნაირი ძალით, ერთნაირი სიამოვნებით აღგვიდგენს ხოლმე გონებაში მის ამხანაგ-ნაცნობებს ამხანაგი არსენიძის სპეტაკ პიროვნებას, ისე მთელი მისი ცხოვრება მოწამეა მისი თავდადებული ბრძოლის, დაუღალავი შრომის და შეუდრეკელი რევოლიუციონური ენერგიის.

ამხ. არსენიძე ყოველთვის შეიარაღებულია*) მტრის შესახვედრათ. ის ყოველგან და ყოველთვის მზათაა უსამართლობისა და ძალმომრეობის შესამუსრავათ. ის ერთნაირათ მოხდენილათ და მიზან შეწონილათ აწარმოებს მოწინააღმდეგესთან მედგარ ბრძოლას, როგორც რედაქციიდან, ისე უნივერსიტეტიდან, ისე ციხიდან და ციმბირიდანაც.

ამიტომაც სურს ამიერ კავკასიის დემოკრატიას ამხ. რაჟდენ არსენიძე იხილოს დამფუძნებელ კრებაზე თავის რჩეულ ამხანაგთა შორის.

კანდიდატი მეთვრამეტე ერიკ-ბერნშტეინი.

მასწავლებელი და თფილისის ქალაქის ხმოსანი. სურათი ვერ ვიშოვეთ.

კანდიდატი მეცხრამეტე არტურ როლკე.

კავკასიის გზების იურისკონსულტი. სურათი ვერ ვიშოვეთ.



მიხ. ანდ. კოვალიოვი.

კანდიდატი მეოცე ვიქტორ თევზაია.

ქართველი ჟურნალისტი. ის ეხლახან დაბრუნდა უცხოეთიდან და სახალხო საქმიანობაში ჩაება. სამწუხაროთ ფოტოგრაფიული სურათი მისი ვერ ვიშოვეთ. შარჟი ვიქტორ თევზიასი დაახლოებით გადმოგვცემს მის მხიარულსა და მოძრავ ბუნებას.

კანდიდატი ოცდა მეერთე აბრამ მალხაზოვი.

ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე, აბრამ მალხაზოვი, ახალგაზრდა მოღვაწეა. ჩვენ განსაკუთრებულის საშუალებით ვთხოვეთ მას რედაქციისთვის ფოტოგრაფიული სურათი გამოეგზავნა, მაგრამ ვერ მივიღეთ.

კანდიდატი ოცდა მეორე პეტრე მოკისეენკო.

კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრი. სურათი ვერ ვიშოვნეთ.

კანდიდატი ოცდა მესამე კოწია გვარჯალაძე.

ექიმი კოწია გვარჯალაძე ენერგიული საზოგადო მოღვაწეა. სულ რაღაც სამი ოთხი წელია, რაც თფილისს ჩამოესახლა, მაგრამ ამ მოკლე დროშიაც საკმაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მათი, ვის ინტერესებსაც იგი ემსახურება. კოწია გვარჯალაძე ცნობილია აგრეთვე როგორც წერალი, უმთავრესად მეცნიერული დარგებიდან. ოპარაკის დროს ძლიერ ღელავს, მაგრამ კერძო ცხოვრებაში ერთობ მშვიდობიანი კაცია.

კანდიდატი ოცდა მეოთხე გრიგოლ აიოლლო.

ცოდვა გამხელილი სჯობია. გრიგოლ აიოლლო ჩვენი მკითხველებისათვის უცნობი, როგორც ჟურნალისტი, მაგრამ ბევრი იცნობს მას, როგორც კარგ ორატორსა და პარტიულ მოღვაწეს.

გრიგოლ აიოლლო ბაქოს მცხოვრებია და იქ



გრ. აიოლლო

საკმაო პატივისცემაც აქვს დიმსახურებული მუშათა წრეებში.

გიზო ანჯაფარიძე (შარჟა)

კანდიდატი ოცდა მეხუთე გიზო ანჯაფარიძე.

ბათუმის მუშები კარგათ იცნობენ გრიგოლ ანჯაფარიძეს. იგი ერთი საყვარელი მუშაკთაგანია. ჩემი მოგზაურობის დროს გიზო ანჯაფარიძე მუშათა დეპუტატების თავმჯდომარეც იყო.

ვინაიდან ფოტოგრაფიული სურათი მისი ვერ ვიშოვეთ, იძულებული ვარ მოვათავსოთ მარტო შარჟი, ნახატი ეშმაკისა და მით დავაკმაყოფილოთ ცნობის მოყვარენი.

კანდიდატი ოცდა მეექვსე
ინა კორნეევი—ჟორდანია.

ინა ჟორდანია, ერთი დაულალავი მოღვაწე ქალთაგანია ჩვენში.

კანდიდატი ოცდა მეშვიდე
ნიკოლოზ კოპანდოკულო.

კავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრი, სურათი ვერ ვიშოვეთ.

კანდიდატი ოცდა მერვე გიორგი გაგლოევი.

(იხილეთ ახსნა ლადო ჯიბლაძისა). სურათი ვერ ვიშოვეთ.

კანდიდატი ოცდა მეცხრე სანდრო ფარნიევი.

(იხილეთ ახსნა ლადო ჯიბლაძისა) სურათი ვერ ვიშოვეთ.

კანდიდატი ოცდა მეათე
მინადორა ტოროშელიძე

დამსახურებული პარტიული მუშაკი და საზო-
გადო მოღვაწე.

კანდიდატი ოცდა მეთერთმეტე.
ანტონ ჩუმაკოვი.

მემანქნეთა პროფესიონალური კავშირის თავ-
ჯდომარე. სურათი ვერ ვიშოვნეთ.

კანდიდატი ოცდა მეთორმეტე
გულდან ფირუმოვი.

ამიერ კავკასიის რკინის გზათა ცენტრალურ
წევრი. სურათი ვერ ვიშოვეთ.

კანდიდატი ოცდა მეცამეტე გიორგი ერაძე.

(იხილე თქმული ლადო ჯიბლაძის შესახებ
გარეშე ამის საჭიროა აღვნიშოთ, რომ მუშა გი-
ორგი ერაძეს კალამიც რიგიანათ უჭირს.

ის ერთობ გაურბის სურათის გადაღებას და
ამიტომაც ღრმათ დაგვამწუხრა მისი სურათის უშოვ-
ნელობამ.

კანდიდატი ოცდა მეთოთხმეტე რუბენ მანევიჩი.

თფილისის რკინის გზის დეპოს ზეინკალი სუ-
რათი ვერ ვიშოვეთ.

კანდიდატი ოცდა მეხუთმეტე ალათი ზურაბიანი.

მასწავლებელი ქალი. თფილისის საბჭოს ხმო-
სანი. სურათი ვერ ვიშოვეთ.

კანდიდატი ოცდა მეთექვსმეტე
მიხეილ კავალიოვი.

მიხეილ კავალიოვი მუშათა და ჯარისკაცთ
დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტი
წევრია. (სურათი იხილე მე 14 გვერდზე)

ამხანაგებო ხმა მიეცით სიას № 1.

რედაქტორი ეშმაკი სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ. № 1.